სამშაბათი, 1918 წ. ივნისის 4 № 101
ყოველდღიური გაზეთი
სამშაბათი, 1918 წ. ივნისის 4 № 101
ფ ა ს ი 20 კ ა პ.

# ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა.
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშ[ნუ]ლ უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კის[ი]რულობს.
რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.
გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.
კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

შაბათს ივნისის 1, უეცრად გარდაიცვალა

## ანტონ ზურაბის ძე ჩიქოვანი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი მეუღლე მისი აგრაფინა გოცირიძის ასული ჩიქოვანისა, დები ელისაბედ ლორთქიფანიძისა, ალათი ახვლედიანისა და ნინუცა ჩიქოვანისა, დისწულები: კატო გალუშკინისა, ტასიკო ჩიქოვანის ასული, ლადიკო ნიკოს ძე ლორთქიფანიძე და გიორგი ჯანელიძე. მიცვალებულის გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, ივნისის 5 (ახალი სტ.) თავის საკ. სახლიდან თფილისის ქუჩა, დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 2—1—6.

## ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის

აცხადებს, რომ ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში მდგომარე წლის 9 ივნისს ახალი სტილით (27 მაისს ძველი სტილით) დილის 11 საათზე, თანახმად § 89-ში მოთავსებული შენიშვნისა, კრება კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ კრებაზე გამოცხადებულ ბანკის რწმუნებულთა რაოდენობისა.

**კრებაზე განსახილველია:** 1. 1917 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა. 2. გამგეობის მოხსენება შესახებ 1917 წლის მოგების განაწილებისა. 3. ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში. 4. შეცვლა და შევსება ბანკის წესდების ზოგიერთ პარაგრაფისა. 5. ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის შეერთებული კრების მოხსენება შესახებ ბანკისთვის საკუთარი ბინის აშენებისა. 6. 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა. 7. თანამდებობის პირთა არჩევა. 3—2

სამშაბათს, 4 ივნისს, ქალაქის თეატრში
**დავ. კლდიაშვილისა და სანდრო კავსაძის** მონაწილეობით
**დ. ცვარნამი** გამართავს საღამოს
I. **ირინეს ბედნიერება.** 1 მოქ. დ. კლდიაშვილისა.
II. **დივერტისმენტი;** მონაწილეობენ: ბ-ნ ს. კავსაძე, შ. დადიანი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი, მ. ქიაურელი, ალ. მგალობლიშვილი, დ. ცვარნამი.
III. **ადვოკატთან** ვოდ. 1 მოქ. გუნიასი. მონაწილეობან: ქ-ნი ო. ლოლობერიძე, გორდელი. ბ-ნი ყალაბეგიშვილი, ნემო, ა. მურუსიძე, ალ. მგალობლიშვილი, დ. ცვარნამი, კუკური და სხ.
**ირინეს ბედნიერება დაიდგმება დავ. კლდიაშვილის რეჟისორობით.**
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ექიმ **ივ. ბოკერიას** ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

**ПРОДАЮТСЯ** домашнія вещи фотографическіе аппараты, паласы серебрянныя шашки и платье. Гегутская ул. домъ Бодокія. 3—1

## დამოუკიდებელი საქართველო და სოციალიზმი.

როგორც მკითხველმა იცის, დღეს ჩვენთვის ისტორიული ხანა დადგა. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს დიადი აქტი მარტო პოლიტიკურ ცვლილებას **არ** წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში. იგი გარდაქმნის თვით აზროვნებასაც ზოგიერთ წრეებში, შესცვლის შეხედულებას ბევრ სოციალურ კითხვებზე. ავიღოთ, მაგ., უმთავრესი კითხვა, რომელსაც ჩვენი სოციალისტები აყენებენ და ცხოვრებაშიც ახორციელებენ,—სოციალიზმი.

როდესაც ჩვენ რუსეთის ერთ პატარა ნაწილს შევადგენდით, შესაძლებელი იყო ამ მოძღვრებას მოთმინებით მოვქცეოდით. ერთი რომ მაშინ ჩვენ არაფერი გვეკითხებოდა. მეორე მომ ჩვენ ძალაუნებურად უნდა დავმორჩილებოდით იმ სოციალურ წესწყობილებას, რომელიც მთელ რუსეთში იქნებოდა დამყარებული.

დღეს კი ჩვენთვის სულ სხვა გარემოება, სხვა პირობები დადგა. ჩვენ ცალკე სახელმწიფოთ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ვიქენით აღიარებული. მაშასადამე, ჩვენ განცალკევებული **პოლიტიკური ძალა** უნდა წარმოვადგინოთ, თუ კი გვსურს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკურ ერთეულად გამოვიდეთ, თუ კი გვსურს, რომ ჩვენი პოლიტიკური სახე დავიცვათ, ფიზიკური არსებობა შევინარჩუნოთ. ახლა საერთაშორისო განწყობილება ისეთია, რომ თავის დასაცავად მზათ უნდა ვიყოთ, სხვისი იმედი არ უნდა გვქონდეს. და პოლიტიკური ძალა მაშინ გვექნება, თუ ეკონომიური, ნივთიერი მდგომარეობა მტკიცე ნიადაგზე იქნება დამყარებული. მართლაც, რა ძალა, რა დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა წარმოადგინოს საქართველომ, ამ ერთმა ნუჟა ხალხმა, თუ ის, ფიზიკურად სუსტი, ნივთიერადაც ღონე მიხდილი იქნება! მაშასადამე, ჩვენთვის პირველს და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს **ეკონომიური, ნივთიერი ძალა.**

შეგვძენს კი ამ ძალას დღეს სოციალიზმი, როდესაც ჩვენი მეზობლები—სახელმწიფოები კერძო საკუთრებას აღმერთებენ, როდესაც მათი ცხოვრების სარჩულად კიდევ კაპიტალისტური წყობილება რჩება? მგონია, სახელმწიფოებრივი გონიერება ვერ შეურიგდება იმას, რომ ჩვენი ჯერ ნორჩი სახელმწიფო—სხვა არ იყოს რა—ექსპერიმენტად გავხადოთ ამ პრობლემისათვის. ჩვენ მოუწოდებთ ჩვენს სოციალისტურ პარტიებს, დაუკვირდენ დღევანდელი მომენტის მოთხოვნილებას. პირდაპირ, კონკრეტულათ დააყენონ მათ კითხვა: რამდენათ სასურველია და ხელსაყრელი ჩვენთვის, დღევანდელ პირობებში სოციალიზმი განვახორციელოთ, როდესაც სხვა სახელმწიფოები, ჩვენი მეზობლები, ამ მოძღვრებას ეწინააღმდეგებიან?

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ, რომ ჩვენთვის დღეს აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ეკონომიური გაძლიერება, მეტი ეროვნული დოვლათის დაგროვება. „გაპროლეტარებული“ ერი გლახა მებრძოლია საერთაშორისო ასპარეზზე. ამისთანა ერს ადვილად დაიმონებს, სავსებითაც მოისპობს ეკონომიურათ ძლიერი მეზობელი. და სხვა სახელმწიფოებს რომ ჩვენ კონკურენცია გაუწიოთ, საჭიროა, ყოველნაირი ტეხნიკა გაძლიერდეს, ვაჭრობა-მრეწველობა გავრცელდეს, ინტენსიური მეურნეობა გაჩაღდეს,—ერთი სიტყვით, საჭიროა ყველა ის, რაც ძნელი მოსაგვარი იქნება სოციალისტურ წესწყობილებაში. სოციალიზმის იდეა უფრო სიმდიდრის სამართლიანად განაწილებაზეა დამყარებული, იგი ხალხის ეკონომიურად გაერთიანებას უფრო ცდილობს,—იმ გაერთიანებას, გათანასწორობას, რომელსაც ერთმა მწერალმა „სიღარიბის თანასწორობა“ უწოდა („равенство по нищетѣ“). რაც შეეხება ეროვნული სიმდიდრის, დოვლათის დაგროვებას, აქ სოციალიზმის სასურველი გავლენა მეტად პრობლემატიურია. მაშასადამე, აქედან ცხადია, რომ დღევანდელი მომენტი მკაცრად გვიკარნახებს—სოციალიზმის ექსპერიმენტი უკუვაგდოთ. გოჭოურაში და ოკრიბაში სოციალიზმის განხორციელება სოციალური სიზეცე იქნება, როდესაც კულტუროსანი ევროპა მტკიცედ სდგას კაპიტალისტურ ნიადაგზე!

ამ აზრს, ეტყობა, ჩვენი მთავრობის ორგანოც—„ერთობა“—არ ეწინააღმდეგება. იგი მომხრეა ეკონომიური კავშირისა სხვა სახელმწიფოებთან და სამართლიანად ამბობს: „ვინ არ იცის, რომ პატარა ქვეყანას, განუვითარებელ კუთხეს, დამოუკიდებელი ეკონომიური არსებობა—განვითარება არ შეუძლია. იგი იძულებული ხდება მსოფლიო ღებმიცემობის ფერხულში ჩაერიოს და დაწინაურებულ ქვეყნებს დაუკავშირდეს“ (№ 90). მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს კავშირი შეუძლებელია, თუ „დაწინაურებულ ქვეყნებში“ კაპიტალისტური წესწყობილება იქნება და „განუვითარებელ კუთხეში“ კი სოციალისტური. უნდა ვიფიქროთ, რომ გაზეთი წინაამდეგია დღესვე სოციალიზმის განხორციელებისა ჩვენში. მაგრამ „ფიცი მრწამს, ბოლო კი მაკვირებსო“,—ნათქვამია. თუ მთავრობას დღეს სოციალიზმის განხორციელება არ სურს და საჭიროდ სცნობს, ჩვენი „პატარა ქვეყანა“, ჩვენი „ეკონომიურად ჩამორჩენილი კუთხე“ საერთაშორისო ეკონომიურ ფერხულში ჩაერიოს,—მაშინ—მიბრძანეთ ერთი—რა საჭირო იყო მიწის დეკრეტის გამოცემა, იმ დეკრეტის, რომელიც—ეჭვი არაა—სოციალიზმის პირველ ნაბიჯათ მაინც ჩაითვლება და რომელმაც ჩვენს მეურნეობაში დიდი არევ-დარევა უკვე შეიტანა!

მაშასადამე, ერთი-ღა გზა დაგვრჩენია: ექსპერიმენტები უკუვაგდოთ. ვეცადოთ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა გაძლიერდეს,—გაძლიერდეს იმ წესით და იმნაირ ნიადაგზე, რომელნიც კულტუროსან ქვეყნებში უკვე ნაცადია.

**დ. გურული.**

## დამოუკიდებლობის შემდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობამ ერში გამოიწვია ბუნებრივი სიხარული აღფრთოვანება. საქართველოს აღდგენამ ერთსულოვნობისაკენ და გაერთიანებისაკენ

გააქანა ქართველი ხალხი. დიდიხანია ქართველ ერს არ დასდგომია ასეთი მამულიშვილური ორგანიულად შემაერთებელი მომენტი. საქართველოს მესვეურები კარგა ხანია ამ დღეს ნატრობდენ. მიუხედავად იმისა, რომ მეტად რთულ და ძნელ ხანაში ხდება ქართულ სახელმწიფოს დაფუძნება ჩვენს და საამაყოთ უნდა განვაცხადოთ, რომ უმთავრესით, ე. ი. ერის ეროვნულ იდეიის აღძვრით ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ.

ყოველგვარ ჯგუფობანობაზე, პარტიობაზე და კლასზე უფრო ძლიერი გამოდგა სამშობლოს იდეა. დახშულად და დაბნელებულად მიჩნეულ ეროვნულ გრძნობა—მრწამსმა უცებ ამოხეთქა და მთელ საქართველოს ახალი ზიარება შეასვა.

საქართველოს დღევანდელმა საქმეთ მპყრობლებმა ამ იშვიათი გარემოებით ერი ფართეთ უნდა ასარგებლონ... საქართველოს მთავრობამ უნდა გაამაგროს ხალხის ეროვნული ენტუზიაზმი. გაჰქრა ბოლშევიკური სენი, საქართველოს დამოუკიდებლობამ ბევრ დოლმატიკოს ხალხს ამოუწურა მისია. დღეს არსებობს ეროვნული ფრონტი სრულიად ქართველი ერის საკეთილდღეოდ!.. ოთხი დღეა რაც ქართულმა მთავრობამ დაიწყო ჯარში გაწვევა და უკვე დიდძალი ხალხი მამულიშვილური სიხარულით გამოცხადდა მოვალეობის მოსახდელად!.. ნატანებს, ამ გადასნგრევ ხელოვნურ ზღუდეს ემატებიან და აწვებიან იმერლები... ინტელიგენცია ლაშქარშია!.. ყველამ შეიგნო, რომ დღეს საქართველოს ბედის გამოჭედვაში დიდი წილი ექნება ხმალს ბრძოლის ველზე და ამიტომ სიამოვნებით ეშურებიან ეროვნულ ფრონტზე!..

ქართველი ჯარი, მიწის მუშა, ინტელიგენტი და ყველა ამბობს: „სამშობლოს არვის გადავათელვინებ, არც ერთ ტკაველ მიწას ჩვენ მამაპაპათა ძვლებით მოკვეთილს მტრებს არ დაუთმობთ“!.. აი, ხალხის ამ გულისთქმით უნდა ისარგებლოს საქართველოს მთავრობამ!.. ერთი პატარა გამარჯვება საკმარისია, რომ საქართველო პაწია მაგრამ კლდოვან ძალად იქცეს და ყველა მტრებს რისხვა დასცეს.

მთავრობას ჰმართებს ეროვნულად ამოძრავებულ ქართველ გაცოცხლებულ ძალთა მიზან შეწონილი მოხმარა...

ბედნიერ წუთებს განვიცდით. ქართველი ხალხი თავის სამშობლოს იცავს, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ამ საქმეში ხალხს შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიოთ.

გაუმარჯოს ქართველ ხალხს!

ირ—დი.

## „ქართული გაზეთი“

რედაქციამ მიიღო „ქართული გაზეთი“ № 49. რომელიც ამ ომის დროს ბერლინში გამოდიოდა გერმანიისა და ავსტრიაში მყოფ ქართველ ტყვეებისათვის. ბერლინის ქართულ გაზეთს რედაქტორობს გიორგი კერესელიძე. მისი სულის ჩამდგმელნი არიან გიორგი მაჩაბელი, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე და გერმანულ-ქართულ კომიტეტის სხვა მოღვაწენი. გაზეთი 8 გვერდს შეიცავს. საუცხოვო ქაღალდზეა დაბეჭდილი და და მშვენიერი ასოებით აწყობილი. გაზეთის თითეული პწკარი მხურვალე მამულიშვილური გრძნობებით არის განმსჭვალული და ყველა წერილები თავდება ჩივილით, რომ რუსეთი დაიშალა, ყველა ერი შეუდგა თავის ბედის პატრონობას და საქართველო კი დღემდე ვერ ახერხებს თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენას. მოგვყავს სრულად გაზეთის მეთაური.

„ქართული გაზეთი“. წელიწადი მეორე № 9 (49) ხუთშაბათი 18 აპრილი 1918.

სერიოზული მომენტი ჩვენთვის.

ამ გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ იყო ნათქვამი, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა დაირღვა, რომ ბოლო რუსთა ბარბაროსულ გაბატონებას სხვადასხვა ერებზედ და რომ იმედია ყველა რუსეთისგან ჩაგრული ერები მალე თავისუფლად ამოისუნთქავენ. ყველა ეს მართალია, მაგრამ ჩვენი დაბეჩავებული სამშობლოს ბედ-იღბალი ჯერ ისევ განსაცდელში იმყოფება და ჯერ კიდევ მისი თავისუფლების სახე საბოლოოდ არ გამორკვეულა. შეიცვალა რეჟიმი, შეიცვალა გარეგნული პირობები მართველობისა,—ხალხის გაჭირვებული და აუტანელი მდგომარეობა კი ისევ იმავე, თუ არა უფრო აუტანელ პირობებშია. ინგრევა დიდი უზარმაზარი რუსეთი და შესაძლებელია პატარა საქართველო ამ დიდ შენობის ნანგრევების ქვეშ მოჰყვეს, გაიჟლიტოს, მიწასთან გასწორდეს. წარმოიდგინეთ დიდი გემი ღია ზღვაზედ, რომელიც დაეტაკა ნაღმს, ან მოხვდა მას გასროლილი ტორპედო. გემი აფეთქდა, ყოველ წუთს უნდა ჩაიყურყუმალაოს, ვინც მოასწრო—ჩაუშვა პატარა დამხმარე „ნავი“, რომელიც ყველა გემზე იმყოფებიან უბედურ წუთისათვის, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. უნდა აგრეთვე ეცადოთ რაც შეიძლება ჩქარა მოშორდეთ. დიდ გემის ჩაძირვის დროს შესაძლებელია შენი პატარა ნავიც თან ჩაიყოლიოს და შენც თან ჩაგითრიოს ზღვის სიღრმეში. ამიტომ უნდა რაც ძალი და ღონე გაქვს ნიჩაფს მოუსვა და მოსცილდე საჩქაროთ დიდ გემს. სწორედ ამის მსგავს მოვლენას ვხედავთ რუსეთში. მოხვდა რუსეთს გერმანიის მაგარი მუშტი, რუსეთი ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი მანქანა, დაიმსხვრა, მიდის ქვესკნელისკენ. ყველა არა რუს ერებმა თითქოს გადმოუშვეს თავიანთი პატარა მხსნელი ნავები, მაგრამ არა ყველა მათგანი უსვამს ენერგიულად ნიჩაფს და ამიტომ საფრთხე მოელის თან არ ჩაყვეს დიდ რუსეთს ჯოჯოხეთის უფსკრულში. საქართველომაც გადმოუშვა თავისი საკუთარი ნავი, მაგრამ დღემდის ვერ მოშორებია საშიშარ ალაგს; მისი ნავის ხელმძღვანელებს ვერ გაუგიათ თუ რა დიდი უბედურება მოელით, თუ ნიჩბებს ძმურად და ენერგიულად არ მოუსვეს და არ მოაშორეს თავიანთი ნავი გემის განსაცდელ სიახლოვეს. არამც თუ ყველა მიეჩქარება ამ ნაფისკენ, არამედ ზოგიერთი მათგანი განგებ დარჩენილან გემზედ, აცოცილან დაზიანებულ და გამოუდეგარ გემის მასტაზედ და ქადაგებენ გემის დახსნას და მის შველას...

იმედია, ამისთანა სერიოზულ და გადამწყვეტ მომენტში ქართველი ერი გამოიჩენს მეტ პოლიტიკურ გამჭრიახობას და მისი სახელმწიფოებრივი ინსტიქტი დააყენებს მას ნამდვილ გზაზედ თავის თავის დასახსნელად. დროა დაივიწყოს მან ყოველგვარი პარტიული და როგორც ერთი არსება, ერთი სხეული, მთელი თავისი ძალა მოახმაროს და იხსნას თავისი სამშობლო იმ განსაცდელისაგან, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება. დღეს უნდა გადაწყდეს სამაუდამოდ ჩვენი ბედი. დღეს უნდა გამოირკვეს შეუძლიან ჩვენ ერს თავისუფალი არსებობა და თუ ღირსია დაიჭიროს კუთვნილი ადგილი დანარჩენ თავისუფალ და დამოუკიდებელ ერებს შორის. მთელი ჩვენი ისტორიის წინაშე სასირცხვილოთ და სამარცხვინოთ და ჩვენი მომავალი თაობის [illegible] გავხდებით თუ არ ვისარგებლეთ დღევანდელი შემთხვევით და არ შევძინეთ ჩვენს ერს თავისუფლება, მით უმეტეს, რომ მხოლოდ ჩვენზედ არის დამოკიდებული, ჩვენს სიყვარულზედ, ჩვენს უნარზედ და უმთავრესად ჩვენს თავდადებაზედ ჩვენი ძვირფასი და ტურფა სამშობლოსათვის.

გ. მაჩაბელი.

ბერლინი 21 თებერვალი 1918 წ.

„საქართ.“

## საქართველოს მთავრობის მოქმედება.

— მთავრობამ დაადგინა რომ 10 მილიონიანი ფონდიდან 1 მილიონი მანეთი გადაედვას ფოთის პორტის მუშათა სასარგებლოდ.

— მთავრობამ დაადგინა მოახდინოს თაიბირი, რომელზედაც მოწვეულ იქმნება მცოდნე პირები, იმის გამოსამუშავებლად რომ სასურსათო საქმები მოწესრიგებულ იქმნეს.

— იმ რუს ოფიცერთა, და სამხედრო პირთა დასაკმაყოფილებლათ, რომელთაც სურვილი აქვთ საქართველო დასტოვონ და რუსეთისაკენ გაემგზავრონ, მთავრობამ სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადასდო 1,590,000 მანეთი. ხსენებულმა პირებმა ფულის მიღებისთანავე უნდა დასტოვონ საქართველოს საზღვრები.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა ფოსტა ტელეგრაფის მთავარი სამართველოს უფროსის საყურადღებოთ ასეთი განკარგულება გასცა: პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო ტელეგრაფით მთავრობის ცნობები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ ის ცნობები, რომელიც გამოდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელიდან. გატყობინებთ რა ამას წინადადებას გაძლევთ არ მიიღოთ და არ გადასცეთ ის ცნობები, რომელიც მოტანილი იქნება მთავრობის ორგანიზაციის ერთეულებისაგან და რომელიც არ ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობას.

— მთავრობის დადგენილებით მიმწო-

## საუბარი მდაბიო მკითხველთან.

წერილი პირველი

...დიდი ხანია, რაც აღარ მისაუბრნია შენთან, ძვირფასო მკითხველო!

მაგრამ ან კი რაზე უნდა მესაუბრნა?

ჩვენი ცხოვრება—ცხოვრება ქართველებისა—ისე იყო არეული დღევანდლამდე და დღესაც ისე მოუწესრიგებელია, რომ სიტყვა წრფელი და სიტყვა მართალი ვერ აღწევს ადამიანის გულამდე.

უგულო ადამიანი—კი იგივე მხეცია, მხეცი დაუნდობელი, გაუმაძღარი, უსამართლო!..

გახსოვს, ძვირფასო, რამდენი მხამი შეგვასვეს მე და შენ უსულგულოადამიანებმა?...

გავიხსენოთ ჩვენი მწარე წარსული... გავიხსენოთ ჩვენი ყოფნა გუშინ... გუშინწინ, შევუფარდოთ დღევანდელ ჩვენს ყოფნას და გულ ახდილად დავგმოთ წარსული იგი; იმიტომ კი არა რომ პირადად ჩვენ დაგვიტანჯენია, არა! იმიტომ რომ ამ წარსულმა დასტანჯა მთელი საქართველო, გააბრუა და გამოაყრუა მთელი ქართველი ერი, აწამა და ჯვარს აცვა მთელი ჩვენი ქვეყნის მომავალიც-კი!..

აქ საანბანო ჭეშმარიტებაზე მიხდება ლაპარაკი, მაგრამ რა ვქნა, რომ თვით საანბანო ჭეშმარიტებაც—კი ჩვენთვის,—ქართველებისათვის,—სადავო იყო და არის ამ ასს ჩვიდმეტი წლის განმავლობაში!..

მე მოგახსენებთ პიროვნებისა და ერის თავისუფლების შესახებ.

მაგრამ რა არის თვით **თავისუფლება**?

თუ დღევანდლამდე მომხდარ ამბებს დავუკვირდებით, თავისუფლება ყოფილა უაღრესი ალვირ-ახსნილობა, ერთისაგან მეორის დაჩაგვრა, უვიცისაგან მეცნიერის დამონავება!..

დავასაბუთოთ ფაქტებით.

როცა „რუსეთის დიდი რევოლუციის“ ლოზუნგები თოვლივით გადნენ და დანათესი ნაყოფის მომკას შევუდექით, აღმოჩნდა, რომ რაც უქადაგნიათ დღევანდელ ცხოვრების მესვეურებს, კარგადა და თავის დროზე არ უქადაგნიათ, იმიტომ, რომ არც ერთი მათი ნამოძღვრევი არ გამართლდა და ხელში შეგვრჩა „გაბოლშევიკებული“ ქართველი ჯარის კაცი, გაუმაძღარი სოფლელი და უსამართლო მოქალაქე, ხოლო თვით თავისუფლება კი—ეს უწმინდესი და უზენაესი ნიჭი ბუნებისა—ძალმომრეობასა და თვით ნებობაში ჩამოყალიბდა...

აქედან ნათლადა სჩანს რომ ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ დღევანდელ „თავისუფლებას“ ისე, როგორც არ ვუჭერდით მას მხარს წინადაც,—რუსეთის რევოლუციის დაწყებამდე...

ჩვენ გვწამდა და კვალადაც გვეწამება, რომ **თავისუფლება არის შეზღუდვა პიროვნების ბოროტი ნებისა, დაგმობა ყოველ გვარ ძალმომრეობისა და დამყარება სამართლიანობისა**...

თუ ამ რწმენით ვიხელმძღვანელებთ, უნდა გადაჭრით ვსთქვათ, რომ არც ერთს კერძო პიროვნებას, არც ერთს კლასს, არც ერთს ერს ნება არა აქვს იბატონოს მეორე პიროვნებასა, მეორე კლასსა და მეორე ერზე!...

ეს ისეთი თვალსაჩინო, ისეთი სადა და ადვილად შესასმენ—შესიმცნობი ღვთაებრივი რწმენაა, რომ მიკვირს და გამკვირვებია, რად იღვრება ამდენი სისხლი და ცრემლი, რად ვჭამთ ერთმანეთს, რად ვანგრევთ ცასა და ქვეყანას?!?...

ჩემის ღრმა რწმენით ეს იმიტომ ხდება, რომ ძე—ადამისა ჯერ კიდევ მხეცია და თავის მხეცურ ალღოსათვის თავი ვერ დაუღწევია...

მაშასადამე თითოეული ჩვენთაგანი, ის ვინც ხალხის სამსახურს ჩემულობს, ან ვისაც ჰგონია, რომ ხალხს ვემსახურებით—ჯერ ცასა და ქვეყანას კი არ უნდა ებღაუჭებოდეს, არა! პირველ ყოვლისა უნდა ჩაიხედოს თავის გულში და იქ ჩაჰკლას ის მხეცი, რომელიც მას უშლის გაადამიანებას...

ასე მოიქცა საკიამუნი.

ასე მოიქცა ქრისტე;

ასე მოიქცა, თუ გნებავთ, ტოლსტოიც!...

ასე იქცევიან ის თითო—ოროლა მნათობნი კაცობრიობისა, რომელთა მოძღვრებითაც ასე ბოროტად სარგებლობენ ხოლმე ხელმძღვანელნი ამა თუ იმ განსაკუთრებული კლასისა, როცა უნდათ გაბატონება თავის ჯგუფისა მეორეზე.

ბატონმა ლენინმა და მისმა დამქაშებმა—მაგალითად, „პროლეტარებისა და სოციალიზმის“ სახელით გასწყვიტეს საუკეთესო შვილნი რუსეთისა, დამალეს და დაქსაქსეს სულიერი თუ ხორციელი ძალნი თავის ერისა და გაბატონეს ველური გრძნობანი ბრბოისა და...

ვაი იმ პიროვნებას, იმ ერს, იმ სახელმწიფოს, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ბრბო, ოხლოკრატია!!.

საოცარი და საშიში კიდევ ის არის, რომ რუსეთის „ბოლშევიზმით“ დიდი ხანია მოწამლულია ქართველი ხალხის ერთი ნაწილი და რუსეთის რევოლუციის პირველი მცნება—თავისუფლება—კინაღამ ჩვენშიაც ბრბოის ბატონობად გადაიქცა!..

მაგრამ ჯერ კიდევ ვინ იცის, როდის აილაგმებიან ჩვენში გაკვრა გაგლეჯის მოთაყვანენი და როდის გამოფხიზლდება ქართველი ხალხი იმდენად, რომ დაამყაროს თავისუფლება ჭეშმარიტი, თავისუფლება, დაფუძნებული **პიროვნებისაგან თავის მოვალეობის შეგნებაზე**, თავისუფლება, აშენებული მაღალ ნიჭსა, წრფელ გრძნობასა და განვითარებულ გონებაზე?!.

მე და შენ, ჩემო მკითხველო, შეჩვეულნი ვართ შემოტევასა და ახლაც სრულიადაც არ მაშინებს ის გარემოება, რომ „რუსეთის რევოლუციის“ მოტრფიალენი კბილებს დაგვიკრაჭუნებენ ამ წერილის წაკითხვაზე და ლაზათიანადაც შემოგვიკურთხებენ!..

რათა?

იმიტომ, რომ რევოლუცია და ყოველგვარი აღრეულობა მათ მიაჩნიათ **მიზნად** ცხოვრებისა, ჩვენ კი ეს მიგვაჩნდა მხოლოდ **საშუალებად** საზოგადოდ რუსეთისა და კერძოდ, საქართველოს ცხოვრების ასაყვავებლათა და დასაწინაურებლად და იმ დღიდან, რა დღესაც რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელებმა დაივიწყეს საქართველოს ინტერესები, იმ დღიდან რა დღესაც ჩვენებური სოციალისტები ქაითქვიფნენ „რუსეთის პარტიებში“, იმ დღიდან, რა დღესაც ამავე სოციალისტებმა **ხელოვნურად გაარღვიეს ჩვენში** კლასთა ბრძოლა—ჩვენ მათთან ვერ ვივლიდით და არც გვივლია.

მართალია, ამისათვის ბევრი ცეცხლი გადაგვაყარეს თავზე, მთელი მშრომელი

38

ქუთაისის და პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა **უკანასკნელად** აფრთხილებს ხელის მომწერთ, რომვინც **ივნისის 7** (ქუთაისისთვის) და **ივნისის 10** (პროვინციისთვის) არ შემოიტანს ხვედრ ფულს, შეეწყვიტებათ გაზეთის გზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელი კომიტეტი ემორჩილება მიწადმოქმედებასა და შრომის სამინისტროს.

— მთავრობამ დაადგინა: ეთხოვოს შინაგან საქმეთა მინისტრს, აცნობოს ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა ყველა უფროსებს, რომ პოლიტიკური ხასიათის დეპეშები არ იქმნეს მიღებული მინისტრ—თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ნება დაურთველათ.

## საქარ. ეროვ. საბჭოს სხდომა

1 ივნისს შესდგა ეროვნულ საბჭოს სხდომა. კრება გაიხსნა 1 ს. 20 წუთ. დღის წესრიგში იყო საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგებისა და მდივანის არჩევა, აგრეთვე არჩევა საფინანსო, სამხედრო, იურიდიული, აგრარულ, მუშათა საკითხის და სარეგლამენტო კომისიებისა. საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნენ ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვ.-დემოკრ.) და ი. ბარათაშვილი (სოციალ.-ფედ.), მდივნად დ. ონიაშვილი (ს.-დ.) მისს ამხანაგათ გ. აბაკელია (ს.-რ.) კომისიების არჩევის შემდეგ ფინანსთა მინისტრმა გ, ჟურულმა შეიტანა საბჭოში წინადადება სახელმწიფო კონტროლის დაარსების შესახებ. საკითხი გადაეცა შესამუშავებლად საფინანსო კომისიას, რომელმაც უნდა მოახსენოს საბჭოს თავისი მოსაზრება უახლოეს კრებაზედ.

## მთავრობის ცნობები

30 მაისის მთავრობის სხდომაზე დაადგინეს რუსეთის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაწესებულებათა ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად დაარსდეს საერთო საგამომძიებლო კომისია, რომელშიაც შევლენ მთავრობის, სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენელნი. კომისიაში 9 წევრი იქნება, სამ-სამი თითო საბჭოსაგან სპეციალურ საკითხების განსახილველად საერთო კომისიას ცალკე კომისიების არჩევა შეუძლია, მთავრობის მხრით წევრებად დაინიშნენ რ. არსენიძე, ფ. გოგიჩაიშვილი და პოლკ. ასათიანი.

—

სომეხთა და მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს ეთხოვოს ეხლავე დანიშნონ თავისი წარმომადგენელნი. პირველ რიგში განხილულ იქნება სამხედრო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საკითხი. დაადგინეს ეთხოვოს ყველა სამინისტროებს შეადგინონ შტატების შემცირების პროექტი.

—

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ შინაგან საქმეთა, შრომის და სურსათის მიმწოდებელ სამინისტროში აირჩია -არ. ერზინკიანი, ფინანსთა სამინისტროში—ვ. არუთინიანი, მიწად მოქმედების სამინისტროში—ა. ტატევოსიანი, სასურსათო—საჰკიანი, მზრუნველობის—ძამოევი, მიმოსვლის—გულაევი, სწავლა განათლების—ტიგრანიანთ, ვაჭრობის—ბერბერიანი.

—

მაჰმად. ერ. საბჭომ ფინანსთა სამინისტროში აირჩია—ნარიმან ნარიმანბეკოვი, სასურსათო—რუსტამბეკოვი, განათლების—გ. შახტახტელი, მზრუნველობის—ბაგერამოვი, იუსტიციის—მაქუნი, სამხედრო—გენ. ხალილოვი, მიწად მოქმედების და შრომის—შეიხულისლამოვი, ვაჭრობის—ა. მ. რუსტამბეკოვი, შინაგან საქმეთა—ინჟ. ვექილოვი.

—

რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა გზებზე გაგზავნილ დეპეშით განმარტა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს მხოლოდ მთავრობის განკარგულებით გაიწვევენ ჯარში და ქალაქის თვითმართველობამ საქმეში არ უნდა ჩაერიოს.

—

მზრუნველობის მინისტრს 31 მაისს დეპეშით შეატყობინეს: გაეცით ბრძანება, რომ ლტოლვილების მიერ დაბანდებული მატარებლები სად. ნატანებზე, ლანჩხუთზე, სამტრედიაში, ქუთაისში, საჯევახოში და ფოთში, დასცალონ. ამ ლტოლვილებმა უარი სთქვეს მცხეთით კავკავისკენ წასვლაზე, უარი სთქვეს და ვაგონებს არა სცლიან.

## სომეხთა ეროვნულ საბჭოში

სომეხთა ეროვნული საბჭო აცხადებს, რადგანაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის დაშლის შემდეგ და საქართველოს და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, შეიქმნა ახალი მდგომარეობა, სომეხთა ეროვნული საბჭო თავის თავს აცხადებს უზენაეს და ერთად ერთ ძალა უფლების მატარებლად სომეხთა ოლქებში. იგი ჯერ ჯერობით სხვადასხვა საპატიო მოსაზრებით არ აღგენს ეროვნულ მთავრობას, მაგრამ თვით ეროვნული საბჭო იღებს თავის თავზედ მთავრობის ყველა ფუნქციებს, რათა უხელმძღვანელოს სომხეთა ოლქებში პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ცხოვრებას.

—

ხალხი გადაგვიბირეს და დღესაც თავს არ ანებებენ ჩვენს გაბიაბურებას, მაგრამ ცხოვრება და ამ ცხოვრების ულმობელი კანონები ჩვენსკენაა და დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაინახავს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი, ჩვენი საქართველო, თუ რამდენად იყო იგი მოტყუებული, როცა ზღაპრები სინამდვილედ მიაჩნდა და თავდავიწყება სიკეთედ...

მადლი უფალს, რომ საქართველო უკვე შესდგა ამ გამოფხიზლების გზაზე დღეს იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის გამოცხადებული.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ინგრევიან ქვიშასა და ლათაიებზე აგებული კოშკები, ირღვევიან უნიადაგო პრინციპები, ჰქრება, ვით ნისლი ღამისა ღელვა ბოროტებისა,—ერთი ქარველი „კლასის“ მეორეზე გაბატონებისა და დგება ხანა მთელი ქართველი ერის შეერთებულის ძალით მოქმედებისა,—დასახსნელად საქართველოის კულტურისა, ფიქრისა, აზრისა და მიმწრაფებისა დაუსრულებელ გაუმჯობესობისაკენ!...

მაგრამ ჩვენი ქვეყნის გასაბედნიერებლად მისი დამოუკიდებლად გამოცხადება არა კმარა—ეს მხოლოდ ჰკუის სწავლებაა იმათი, ვინც თავის ბატონობის განსამტკიცებლად ბრბოს ეგლისებოდენ და სამშობლოს, როგორც ითლიანს, როგორც ერთეულს, ივიწყებდენ,—საქართველოს გასაბედნიერებლად საჭიროა განმტკიცება მისი დამოუკიდებლობისა, საჭიროა გამონახვა ისეთის საშუალებისა, რამელიც გადაჰფერავს, გადაალის გულიდან ჩვენ მშრომელ ხალხს—ამ ბურჯს ეროვნებისას—ყოველ გვარ სიგლახეს და შეჰქმნის მას **შესმენილ პიროვნებად**, შეჰქმნის მას **ქართველად**.

რა საშუალებაა ეს საშაღება?—

ეს საშუალება გახლავთ: აღდგენა **ქართველური ხალხოსნური ერთობისა**, სარწმუნოებისა, მართლმსაჯულებისა, მეცნიერებისა, ფილოსოფიისა, მწერლობისა და შექმნა **ძლიერის ლაშქრისა** ამ ხალხოსნურ ერთობისა და კულტურის დასაცავად.

ეს საშუალება გახლავთ: წაშლა ქართველების მეხიერებიდან—თუ შეიძლება ასე ითქვას—რუსეთის გამთახსირებელ გავლენისა.

ეს საშუალება გახლავთ: დავიწყება ყოველგვარ პარტიული მამლაყინწობისა და გადაცემა ხალხის ბედისა განვითარებულ და გამობრძმედილ მოღვაწეთა ხელში...

ეს საშუალება გახლავთ: უკუგდება ოხლოკრატიულ ლათაიებისა და აღდგენა საუკუნოებით დამუშავებულ ანდერძის: „**შენც იცოცხლე და მეც მაცოცხლეო**“

ეს საშუალება გახლავთ: განთავისუფლება შრომისა და შეფასება მოქმედებისა არა პარტიულის თვალსაზრისით, არამედ ხალხოსნურის, ეროვნულის'..

ეს საშუალება გახლავთ: ძლიერი მთავრობა—თავგასულთა მოსათოკავად.

ეს საშუალება გახლავთ დავიწყება ყოველივე პირადისა თუ პარტიულის ინტერესებისა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მაგრამ კმარა, თორემ ვაი თუ ესეც ქვეყნისა და ხალხის მტრობად ჩამოგვართვან, ჩემო მეგობარო, იმათ, ვისაც თავისი კუჭისა და ცხვირის მეტი ბედნიერების საზომად სხვა არა მიაჩნიათ რა.

**ი. მარჯანიძე**

## უკრაინის ამბები.

სევასტოპოლიდან ჩამოვიდა ოდესის ოლქის ქართველ მხედრობის კომისარი ბ. ბარათაშვილი, რომელმაც ფრიად საგულისხმო ცნობები გადმოგვცა უკრაინისა და სამხრეთ რუსეთის შესახებ.

გერმანელებს გაურეკიათ უკრაინის რადა და მთავრობა, ვინაიდან მთავრობის ერთს წრეში აღმოუჩენიათ შეთქმულობა გერმანიის ჯარების წინააღმდეგ. ამ ჯგუფს განზრახული ჰქონია რუსეთთან შეთანხმება და გერმანელების გარეკა უკრაინიდან. ახალ მთავრობაში, რომელიც გეტმან სკოროპადსკის შეუდგენია, სოციალისტები არ შედიან. გეტმანის ამორჩევამდის მომხდარა დიდი ყრილობა უკრაინის გლეხობის, რომელზედაც აშკარად გამორკვეულა, რომ გლეხობა მეტად უკმაყოფილოა რევოლუციონური მთავრობით, რომელიც მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას აპირებდა. ამ ყრილობას გადამწყვეტი როლი უთამაშნია გეტმანობის შემოღებისათვის. სკოროპადსკი გეტმანის შთამომავალია. თვითონ ლიბერალური შიმართულებისა არის. უკრაინაში თანდათან საცხოვრო წესიერება მყარდება.

უკრაინელები კარგად ეპყრობიან ქართველ ოფიცრობას, ყველას ჯამაგირები გაუსწორეს, რაც კი მათ ერგებოდათ. გვპირდებიან პურს, თუ სამაგიეროდ ჩვენი ქვეყნიდან მათთვის საჭირო საქონელს მივაწოდებთ.

23 მაისს ოდესაში ჩამოვიდა სპირიდონ კედია. იქავე იყო მიხაკო წერეთელი, რომელიც საქართველოში მოეშურებოდა. ორივენი ერთად ევროპაში გაემგზავრენ იმავე დღეს.

## გერმანიის სამხედრო მისიის განცხადება.

რადგანაც ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში შეკითხვა მიიღეს გერმანელი ჯარების შესახებ, რომელნიც აქ სადარაჯო ვალდებულებას ასრულებენ, ამით ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, რომ ჩვენი ჯარები არ არიან აქ მოსულნი საქართველოს დაპყრობის მიზნით. ისინი ასრულებენ თავის სამსახურს საქართველოს მთავრობის თანხმობით. რკინის გზის ადმინისტრაცია და მოსამსახურენი სრულიადაც არ ემორჩილებიან გერმანელ ჯარებს, რომელნიც იმყოფებიან სადგურებზე ძხოლოდ წესიერების ასადგენად. გერმანული დროშა სადგურებზე გვიჩვენებს მხოლოდ, რომ ამ ადგილას იმყოფება გერმანელი რაზმი.

შტაბს-კაპიტანი **ბრანდნერი**.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**გუბერნიის კომისრის ბრძანება**. ქუთაისის გუბერნიის კომისარი წინადადებას აძლევს ქუთაისის მცხოვრებლებს, რომ დაუყონებლივ წარადგინონ თოფები საუბნო სამილიციო ნაწილებში. ყურადღება არ უნდა მიექცეს იმას მათ იარაღის ნებართვა აქვთ თუ არა. მცხოვრებლებმა ეს უნდა შეასრულონ 4 ივნისის დილის 12 საათამდის. ვინც ამ განკარგულებას არ შეასრულებს ისინი მიეცემიან სამხედრო—სარევოლუციო სასამართლოს.

✦ **ცრუ ხმები**. გუბერნიის კომისარი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ხმები ომისა და ზავის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. ყოველივე ცნობები მიღებისთანავე გამოქვეყნებულ იქმნება. დროებითი ზავი ჯერ ჯერობით არც ერთ ფრონტზე არ დარღვეულა.

✦ **ჭიათურაში**. კერძო ცნობების მიხედვით გერმანელები ემზადებიან ჭიათურაში შავიქვის მადაროების საექსპლოატაციოთ.

✦ სიკვდილით **დასჯა**. სამტრედიის რევოლუციონურმა ტრიბუნალმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ვერულაშვილს და ჯვარიშეიშვილს. ვერულაშვილს ბრალდებოდა რაზმში ყოფნის დროს ქალისთვის ბეჭდების წართმევა, ხოლო ჯვარიშეიშვილს სახელმწიფო ნივთების მოპარვა და მობილიზაციის საწინააღმდეგო აგიტაცია.

✦ ს. აბასთუმანში. აბასთუმანის რაიონიდან გუბერნიის კომისარს ატყობინებენ, რომ, მცხოვრებლები საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას უცხადებენ და მზად არიან, რომ იარაღით დაიცვან სამშობლოს ტერიტორია და მისი ინტერესები. შუამდგომლობას აღძრავენ აგრეთვე რომ ოჯახში დატოვებულ იქმნას ერთი მუშა ხელი.

✦ **იარაღის აყრა**. გუბერნიის კომისარმა განკარგულება გასცა ზუგდიდის, ქუთაისის ახალსენაკის და შორაპნის მაზრების კომისრებისა ქუთაისისა და ფოთის მილიციის უფროსებისა და სხვათა საყურადღებოთ, რომ თანახმად განკარგულებისა ენერგიული ზომები მიიღ.ან მცხოვრებლებზე იარაღის აყრის საქმეში. კერძო პირებს თოფები არ უნდა ექნესთ. ვინც განკარგულებას არ დაემორჩილება ისინი გაიგზავნებიან სამტრედიაში ფრონტზე გასაგზავნათ. ყველა თოფები უნდა შეგროვდეს სამაზრო ცეიხგაუზებში, საიდანაც გუბერნიის კომისრის განკარგულებისამებრ პოლკებს გაეგზავნებათ.

✦ **თოფების შეკრება**. თანახმად გუბერნიის კომისრის განკარგულებისა, არქიელის გორაზე შეაგროვეს 80 თოფი და 7000 პატრონა რომელიც მთავრობას გადაეცა.

✦ გუბარნიის **კომისარმა** ყველა პარტიების კომიტეტებს მიმართა, რომ დაუყონებლივ ჩაბარებულ იქნას მთავრობის მიერ მიცემული თოფები.

✦ **ლიტერატურული სამსჯავრო**. ამ მოკლე ხანში ქუთაისში გაიმართება დიდი ლიტერატურული გასამართლება „სამშობლოს“ გმირებისა. ლევან ხიმშიაშვილის და ქეთევანის.

✦ **ქართველი ტყვეები**. როგორც ხმები დადის გერმანეთიდან ოდესაში ჩამოუყვანიათ ქართველი ტყვე ჯარის კაცები. ამ დღეებში მათ ქუთაისში მოელიან.

✦ **ევ. გეგეჭკორი**. გუშინ სამეგრელოში გაემგზავრა. მას მიზნათ ჰქონდა რაზმის შედგენა.

✦ **ქ. ზესტაფონში** შესდგა ინტერპარტიული თავდაცვის სამაზრო კომისია.

✦ **ბოლშევიკები სამეგრელოში**. ზუგდიდიდან იტყობინებიან, რომ მთავრობიდან გაგზავნილ რაზმს ბოლშევიკთა ბრბო წალენჯიხაში გაუფანტავს.

✦ **ჩვენს რედაქციას.** გრ. ბარათაშვილმა გადმოსცა პუშკინის ქუჩაზე ნაპოვნი ფული. დამკარგველს შეუძლია მოითხოვოს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

✦ **დ. ცვარნამის სალამო.** დღეს ქალაქის თეატრში გაიმართება დ. ცვარნამის სალამო.

✦ **წარმოდგენა,** ხუთშაბათს, 6 ივნისს ქალაქის თეატრში გაიმართება ალ. ყალაბეგაშვილის წარმოდგენა.

✦ **დრამატიულ საზოგადოებაში.** დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარეობა მიენდო ივ. პურადაშვილს.

✦ **საზაფხულო დასი.** ქუთაისის დრამატიული საზოგადოების ნებართვით ქუთაისში შესდგა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, გაიხსნება 15 ივნისიდან.

✦ შტ. **კაპიტანი პაიჭაძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან 29 მაისს ქუთ. სადგურზე დაჰკარგა ველოსიპედი. მნახველს პირდება სიჩუქრად 500 მანეთს.

✦ **მობილიზაცია.** ქუთაისში მობილიზაციის საქმე კარგათ მიდის. ჯარის კაცთა შესაკრები პუნქტი გადატანილ იქნა წყალ გაღმა უბანში, ქართული გიმნაზიის შენობაში.

✦ **ტყვე ჰანები.** გუშინ ქუთაისში ჩამოიყვანეს 20-მდე ტყვე ჰანები.

✦ **ბოლშევიკების დამარცხება.** სამეგრელოდან გვატყობინებენ, რომ მთავრობის მიერ გაგზავნილ რაზმს წალენჯიხაში ბოლშევიკთა ბრბო სასტიკათ დაუმარცხებია.

✦ **ოსმალები განჯაში.** ამ ჟამად განჯაში იმყოფება ოსმალთა რეგულიარული ჯარის 7000 კაცი ეს ჯარი. მოვიდა სპარსეთიდან. განჯაში სიწყნარეა. ნაზიმ-ფაშას განკარგულებით ადგილობრივ თათრებს იარაღი აჰყარეს. სომხობა იარაღის აყრაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ნაზიმ—ფაშას მეთაურობით შესდგა სომეხ—თათართა თათბირი სოფლად და ქალაქად იარაღის აკრების შესახებ.

## თ ბ ი ლ ი ს ი.

— **არარატის რესპუბლიკა.** ამიერკავკასიის ტელეგრაფის სააგენტო შეეკითხა სომხეთა ეროვნულ საბჭოს 30 მაისს მოსულ ამბების შესახებ, ვითომც დამოუკიდებელ სომხეთის არარატის რესპუბლიკა დაარსებულიყოს. მის შესახებ სომხეთა ეროვნულ საბჭომ უპასუხა, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერებაო.

— **საქართველოს ეროვნული დროშა.** რადგან დღეს დიდი საჭიროებაა საქართველოს ეროვნულ დროშის და ამისათვის საჭირო მასალის შოვნა კი ძალიან ძნელია კერძო პირებისათვის, კულტურის და შრომის კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა თავს იდვას დროშების მომზადების საქმე და მიმართა სამხედრო მინისტრს თხოვნით, რათა კავშირს დაეთმოს დროშებას მოსამზადებლად საჭირო მასალა ინტენდანტსტვოსაგან და გამგეობის კომიტეტის საწყობებიდან. ვისაც ეროვნულ დროშის შეკვეთა სურს, წინდაწინვე უნდა აცნობოს თავის სურვილი კოოპერატივ „დახმარებაში“ (ერევნის მოედანი) ირ. თაზიშვილს.

— **ეროვნული ემბლემა.** კულტურის და შრომის კავშირმა დაამზადა რამდენიმე ათასი ეროვნული ემბლემა—სამფეროვანი დროშა საქართველოსი (პატარა ზომის, ტანისამოსზე სატარებელი). ემბლემა გაიყიდება დღეს: 1, სახაზინო თეატრთან და 2, ერევნის მოედანზე, კოოპერატივ „დახმარების“ წინ. მთელი წმინდა შემოსავალი მოხმარდება ხსენებულ „კავშირის“ გაფართოებას. გაყიდვა დაიწყება დილის 11 საათზე.

— **გერმანელთა წარმომადგენელი ეროვნ. საბჭოში.** როგორც „კავკ. პოსტ.“ გადმოგვცემს, საქართველოში მცხოვრებ გერმანელების წარმომადგენლად რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს მიერ ინიშნება ცნობილი მწერალი და ჩვენი ქვეყნის კარგი მცოდნე არტურ-ლეისტი.

## დელეგაცია ლეჩხუმში.

ლეჩხუმიდან ჩამოვიდა მაზრის დელეგაცია, რომელიც კვირას, 2 ივნისს წარუდგა გუბერნიის კომისარს. დელეგაცია ამოწმებს ლეჩხუმის მაზრაში გაბ ოლშევიკებულ ჯარის კაცების გამოსვლების და დრო გამოშვებითი მკვლელობებსაც.

დელეგაციამ გუბერნიის კომისარს სთხოვა ადგილობრივ გამგზავრებულიყო ლეჩხუმის მაზრაში რომ შეთანხმებით საზოგადოება დაეწყნარებიათ. დელეგაცია აღწერს აგრეთვე მცხოვრებთა მატერიალური მდგომარეობის აუტანლობას, სურსათის ნაკლულობას და გუბერნიის მთავრობიდან მოითხოვს მეტ ყურადღებას და დახმარებას.

გუბერნიის კომისარი დელეგაციას უარყოფით შეხვდა.

დელეგატების გადმოცემით ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებნი მზათ არიან სამშობლოს დასაცავათ ჯარში გავიდნენ, მაგრამ მთავრობისაგან არავითარი განკარგულება არ მიგვიღიაო.

დელეგაციაში შედიან: ლეჩხუმის მაზრის გლეხთა საბჭოს თავმჯდომარე -**ამბროსი პირველი**, მაზრის კომისარი — **ლოტარია**, რაიონის კომისარი—**მ. პირველი**. და ჯ. კაცი — ი. **ახვლედიანი**.

## დედა ქალაქის ამბები

**სათბობი მასალა.** ვაჭრობ-მრეწველობის სამინისტროსთა არსებულ ეკონომიურმა თათბირმა გამოარკვია, რომ საქართველოს რესპუბლიკას სამყოფი სათბობი მასალა მხოლოდ ერთი თვის სამყოფი აქვს და ტყიბულის და „ნახშირის“-ს მაღაროები ერთობ მცირე ექსპლოატაციის გამო ძალიან ცოტა სათბობ მასალას იძლევა, და ამიტომ დაადგინა ამ მაღაროების ექსპლოატაცია საქართველოს მთავრობას გადასცეს, რომელიც ამ მიზნით გამოიყენებს ყველა ტეხნიკურ საშუალებებს და მასალის მიმწოდებელ კომიტეტს მოიწვევს.

— **ლტოლვილთა კომისია.** მუშათა დეპუტატების საოლქო ცენტრმა გამოჰყო თვის შემადგენლობიდან გადმოხვეწილთა საქმეების გამგე ცალკე კომისია.

— **საბერძნეთის კონსული საქართველოდან წასვლის გამო.** ბერძნების ინტერესების დაცვა ელლინთა ეროვნულ საბჭოს დაევალა.

— **სასახლის ღვინის საწყობი.** საოლქო გამგეობას გადაეცა.

— **ლტოლვილნი კავკავში.** თერგის სასახლო საბჭომ ლტოლვილების კავკავში შესვლა აღუკრძალა, სანამ პირველი ლტოლვილები ქალაქიდან გავლენ.

— **ანარქია სოფლად.** სოფელ წავლში გიგა მიხეილის ძის ამირეჯიბის სახლკარი გადასწვეს. ბოროტ-მოქმედების წინადღით გაუზიდიათ ბარგიბარხანა და შემდეგ გადაუწვიათო.

— **ეროვნულ დემოკრატ. სტუდენტების კრება.** შაბათს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ. სტუდენტების კრება, რომელზედაც გრ. ვეშაპელი წაიკითხავს მოხსენებას საგარეო პოლიტიკის შესახებ. დასწრება სავალდებულოა.

## ტრამვაის საკითხი.

(გაგრძელება იხ. „ჩვენი ქვეყნის“ № 99).

პირველ წერილში გაკვრით იყო ნათქვამი, რომ ამერიკაში დიდ როლს თამაშობს დღესაც კონცესიური სისტემა. კონცესიები, რომელიც უნდა გამოცემულიყო მუნიციპალიტეტების მიერ იყო სამნაირი: პირველი, კონცესია **განუსაზღვრელი ვადით**, მეორე კონცესია—**განსაზღვრული**, ვადით და მესამე, კონცესია განსაზღვრული დროის განმავლობაში. უკანასკნელ ორ ფორმის ექსპლოატაციამ არ მიიღო განვითარება, მხოლოდ რაც შეეხება პირველს ე. ი. განუსაზღვრელ ვადის. კონცესია იყო ხელსაყრელი მით, რომ ასეთი კონცესია უფლებას ანიჭებდა მუნიციპალიტეტს, ან კერძო მოიჯარადრეს რა დროსაც მოისურვებდა შეეწყვიტა პირობა თუ კი არ დააკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნილებას (ე. ი. ტრამვაის პირობების გაუმჯობესებას). აი სწორედ, ასეთი კონცესია არის სანატრელი და იდეალური მით რომ, კონცესიონერი იმყოფება მუდამ შიშში და ცდილობს რაც კი შეიძლება დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები, უკიდურეს შემთხვევაში როგორც ზევით აღვიარეთ, მას ჩამოერთმევა ტრამვაით სარგებლობა. მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა კომერსანტთა შორის ცოტა მოიძებნება ისეთი პირები, რომ თავის პირადი ინტერესები და ქონება შეწიროს საზოგადოებას, წინ გაუძღვეს ასეთ კონცესიას და ერთჯერ და სამუდამოდ მოიკიდოს ფეხი ზემოხსენებულ კონცესიის ფორმ მ (ე. ი. განუსაზღვრელ ვადით). ასეთ კონცესიის წყალობით არის ტრამვაის ლიანდაგი, ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქები მოტკეპნილი. მეორე ფორმა, **განსაზღვრული დროის** კონცესია გულისხმობს და არ აღემატება ოც წელიწადს და ეს ფორმა უფრო გავრცელებულია უმთავრესად **საფრანგეთში**, ცოტაოდნათ გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში. და უუძლიერესად **რუსეთში**. რასაკვირველია, ამ კონცესიასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, უარყოფითი ის, რომ მოკლე ვადით არის გაცემული კონცესია და მწარმოებელი არ სცდილობს გაანვითაროს ისე, როგორც მას მოითხოვს უკანასკნელი ტეხნიკის სახე და ამ რიგად ნორმალურ განვითარების მსვლელობას მოკლებულია. ის ნაკლი, რომელიც თან ახლავს ტრამვაის გაშენებას კონცესიონურის ანუ მოიჯარადრეს მეოხებით, აიძულოს ქალაქები რომლის რიცხვი დღითი დღე მატულობს უარი ეთქვა „**შუამავლის**“ სამსახურისათვის და თვით ეწარმოებია ოჯახური წესით. პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ ინგლისის ქალაქმა **გედდერსფილდმა** ამ გარემოებას ხელი შეუწყო მან, რომ მწარმოებელმა შეატყო რომ უეჭველად პირველ წლებში იქნებოდა ზარალი (წაგება), ამისათვის არჩია ხელშეკრულობაზე უარი ეთქვა; მეტი არა დარჩენოდა რა, რომ ქალაქს უნდა ეწარმოებინა ოჯახური წესით. მართლაც რომ ყოფილ მწარმოებელის ნაკარნახები გამართლდა. პირველ წელიწადს ქალაქმა ნახა 63 ათასი გირვანქა სტერლინგი, რასაკვირველია ზარალი თანდათან კლებულობდა და უეჭველია რომ ქალაქი ანაზღაურებდა პირველ წლების ზარალს და დარჩებოდა მოგებაც.

ზემოხსენებულ მოვლენის დასამტკიცებლათ თუ რამდენად კლებულობს დეფიციტი საილიუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი ციფრები:

| წელი. | შემოსავალი გირ. სტერ. | გასავალი გირ. სტერ. | შემოსავალი. |
|---|---|---|---|
| 1893 | 23168 | 39812 | 16128 |
| 1894 | 26295 | 33590 | 7295 |
| 1895 | 25598 | 28071 | 2473 |
| 1896 | 27898 | 29661 | 1963 |
| 1897 | 29805 | 28627 | 1178 |
| 1898 | 30870 | 30042 | —828 |
| 1899 | 32139 | 32014 | —125 |

ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს რომ **დეფიციტი** თანდათან კლებულობს*).

ასე რომ, ახლა ყოველ წელიწადს იძლევა 10 ათასს გირვანქა სტერლინგს მოგებას. ზემოხსენებული სისტემის მაგალითს მიყვა სხვა ქალაქებიც, მაგალითად: ლივერპული, ულაზდო, ბლეკპული, ნიუკესტლი, ნიუპორტი, ლონდონი და სხვები. 1903-4 წ.წ. ინგლისში ირიცხებოდა 224 ტრამვაის საწარმოვო, ამათში ნახევარზე მეტი წარმოობდა **ოჯახური** წესით. ადამიანს ძალაუნებურად უნდა დაებადოს შემდეგი აზრი: რა მოვლენამ და გარემოებამ აიძულა ინგლისის მუნიციპალიტეტები რომ აშენებენ და აწარმოებენ ტრამვაის ოჯახური წესით. ტრამვაის სა**შენებლო** მა**სალა** ირჩევა ყურადღებით და განსხვავდება საუკეთესო ღირსებით*) მეორე, მუ**ნიციპალიტეტი** უფრო ყურადღებით ეპყრობა საზოგადოების სურვილებს და მოთხოვნილებებს [illegible] მუდმივი ბილეთების შემოღებით და ფასის დაწევით! მესამე, მუნიციპალიზაციის დროს არის საშუალება [illegible] ტრამვაი ქალაქს გარედ მდებარე ადგილების დასახლების და **ეკონომიურად** განვითარებისთვის. მეოთხე, **მუნიციპალიზაცია** ხელს უწყობს ქალაქის გზების გაკეთებას და განათებას.

**ნიკოლოზ ახვლედიანი.**

*) სტატისტიკური ცნობები იხილეთ „მოსკოვის თვითმართველობის ცნობანით“ 1906—7-8-9 წ.წ.

*) თუმცაღა ეს მოვლენა კონცესიონერებსაც აქვს გათვალწინებული. (ავტორი).

## თეატრი და ხელოვნება.

**„ციცინათელა“ შიუკაშვილის.**

ივნისის 2 **ნ.** ჩხეიძემაც სთქვა თავის სიტყვა, და ეს მისი გამოძახილი უფრო მძლავრი იყო, ვიდრე სხვა მსახიობების ხმა. არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო.

წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ნინოს ეხმო და მოწაფეობა თუ სხვა მოქალაქენი არ შეკრებილიყვნენ: იგი ხომ ყველას სათაყვანებელია, ყველას გულისა და გონების პატარა ღმერთია.

ვინ მოსთვლის რამდენი წმინდა ცრემლი დაღვრილა იმის თამაშის დროს... ვ ნ იცის რამდენის გული და გრძნობა განსპეტაკებულა მისი თამაშის შემდეგ.

ნუცა სცენაზე არ მსახურობს: იგი ნამდვილათ განიცდის მთელს ტანჯვა-მწუხარებას და თამაშის გათავების შემდეგაც როცა ფარდა ჩამოეშვება, მის სახეს ისევ მწუხარების ბეჭედი აზის.

აი რისთვის არის ძლიერი ნუცას თამაშის გავლენა მაყურებლებზე.

რამდენი გრძნობა უნდა იყოს ადამიანში დაგროვილ რომ შეითვისოს ბაბოს („ციცინათელა“) ან ვერას („უბედური ნაბიჯი“) ან მარგარიტას („მარგარიტა გოტიე“) ტანჯვა

გინახავთ ალბათ კონა, სხვადასხვა ვარდებისაგან ისე შეზავებული თაიგული, რომ ერთი ვარდის ამოღებისათანავე თაიგულს სილამაზე და შნო ეკარგება.

ისეთი იყო ივნისის ორის წარმოდგენა „ციცინათელა“. ამაზე უკეთეს ანსამბლს ნუცა ვერ მოსძებნიდა ქუთაისში მყოფ მსახიობებიდან.

პიესის სიამაყე ხომ თვით ნუცა იყო.

მის გვერდით იდგა ახალგაზდა მსახიობი მ. ჭიაურელი, რომელმაც თავის რეპერტუარს მიუმატა „სულელი“-ს გარდა ლევან მესხიშვილის როლიც „ციცინათელაში“. მანაც ბევრი სასიამოვნო წუთები მოგვანიჭა იმ საღამოს.

ყალაბეგიშვილს კარგათ იცნობს ქუთაისის საზოგადოება. „ციცინათელაშიც“ თავის დაკვირვებული, დინჯი თამაშით შეუდარებელი რამ იყო.

კარგად თამაშობდენ: ლოლუას ასული, ქორელი, მურუსიძე, მგალობლიშვილი და ციმაკურიძის ქალი.

ულრმესი, მადლობა ნ. ჩხეიძეს თავის გრძნობიერი თამაშით მოყენებულ ტკბილ წუთებისთვის.

ვიმედოვნობთ, რომ მომავალ სეზონშიაც დავინახავთ მას ქუთაისის ღარიბ სცენაზე.

**შ. ლეკვიაშვილი**

P. S. აღსანიშნავია ჩვენი მოწაფე ქალების ზომაზე მეტი აღფრთოვანება. გვესმის თამაშით გატაცება, გვესმის ადამიანის სულიერი განცდა, როცა ნუცა თამაშობს, და არც შეიძლება გულგრილათ დარჩეს მაყურებელი, მაგრამ ყოველ ძლიერ სულიერ განცდას სცენაზე, ან ჭიაურელის გამოსვლას რომ „ნწ! ნწ!“ ძახილით შევხვდეთ, ეს კი არსად გვსმენია დალოცვილ ქუთაისის დალოცვილ მოწაფე ქალების გარდა. **შ. ლ.**

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ბ. კვირკველია.**

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელის სახლი, ქუთაისში